

# 2

გურამ პერიშვილი  
იათაფა კოტიშვილი  
ბაკურ სულაკაური

# მათემატიკა

ნაწილი II



## მოსწავლის წიგნი

გრიფინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების,  
კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.



ბაკურ სულაკაურის  
გამომცემლობა

# სარჩევნი



## თავი 5

### რიცხვები 40-დან 60-მდე

1. რიცხვები 40-დან 60-მდე ..... 6
2. ერთნიშნა რიცხვების დამატება ..... 7
3. ერთნიშნა რიცხვების გამოკლება ..... 8
4. ათეულების დამატება და გამოკლება. 9
5. შეკრება ათეულის წარმოქმნით ..... 10
6. გამოკლება ათეულის დაშლით ..... 11
7. რიცხვის დამრგვალება ათეულამდე. 12
8. განახევრება ..... 13
9. 50 თეთრი და 50 ლარი ..... 14  
დამატებითი სავარჯიშოები ..... 15

## თავი 6

### მონაცემები და სიდიდის გაზომვა

1. მონაცემების შეგროვება ..... 18
2. მონაცემების მოწესრიგება  
ცხრილში ..... 19
3. სვეტოვანი დიაგრამა ..... 20
4. რომელი საათია? ..... 21
5. რომელი საათია ელექტროსაათზე? . 22
6. დილის და საღამოს საათები ..... 23
7. რამდენი საათი გავიდა? ..... 24
8. ნახევარი საათი ..... 25
9. ტემპერატურა და მისი გაზომვა ..... 26
10. ტემპერატურის დიაგრამა ..... 27  
დამატებითი სავარჯიშოები ..... 28

# თავი 7

## რიცხვები 60-დან 80-მდე

1. რიცხვები 60-დან 80-მდე ..... 32
2. ერთნიშნა რიცხვების დამატება ..... 33
3. ერთნიშნა რიცხვების გამოკლება ... 34
4. ათეულების დამატება და გამოკლება ..... 35
5. შეკრება ათეულის წარმოქმნით ..... 36
6. გამოკლება ათეულის დაშლით ..... 37
7. ხუთი რიცხვიდან უდიდესის და უმცირესის ამორჩევა ..... 38
8. ამოცანის პირობა და შეკითხვა ..... 39
9. მონაცემების შეგროვება ამოცანის პირობიდან ..... 40
10. ამოცანის ამოხსნა ..... 41  
დამატებითი სავარჯიშოები ..... 42


# თავი 8

## 100-მდე რიცხვები და მათზე მოქმედებები

1. რიცხვები 80-დან 100-მდე ..... 46
  2. ერთნიშნა რიცხვების დამატება ..... 47
  3. ერთნიშნა რიცხვების გამოკლება ... 48
  4. ათეულების დამატება და გამოკლება ..... 49
  5. შეკრება ათეულის წარმოქმნით ..... 50
  6. გამოკლება ათეულის დაშლით ..... 51  
დამატებითი სავარჯიშოები ..... 52
- 
- დამატებითი ამოცანები ..... 55

რიცხვები 40-დან 60-მდე

									40
41	42	43	44	45	46	47	48	49	50
51	52	53	54	55	56	57	58	59	60




+ 12

ორმოცდაორი 42

ორმოცდათხმეტი 54

$42 + 12 = 54$

# რიცხვები 40-დან 60-მდე



ორმოცდაორი

$40 + 2$

ათეული	ერთეული
4	2

42

1. გადაინერე რიცხვები და მიუწერე სახელები.

43      47      59      46  
51      49      54

2. გადაინერე რიცხვების სახელები და ჩაწერე ციფრებით.

ორმოცდაერთი    ორმოცდათორმეტი  
ორმოცდაოთხი    ორმოცდაცამეტი

3. რამდენი თეთრია?

ა.


ბ.

გ.

4. გადაიხატე რიცხვთა ღერძი და ჩაწერე გამოტოვებული რიცხვები.



5. რამდენი უჯრაა?



6. რა ჰქვია რიცხვს, რომელშიც 4 ათეული და 8 ერთეულია?

7. გააგრძელე მიმდევრობა 40-მდე 50, 49, 48, ...

8. რომელია მეტი?

49 თუ 47      50 თუ 49  
46 თუ 56      55 თუ 57

9. გადაინერე რიცხვების სახელები და გვერდით დაუხატე შესაბამისი რაოდენობის წერტილები.

ორმოცდაშვიდი  
ორმოცდათვრამეტი  
ორმოცდაცამეტი



10. დაშალე ათეულებად და ერთეულებად.

48    51    46    50    59    40



11. ამოინერე ამ რიცხვებიდან მხოლოდ კენტი რიცხვები და დაალაგე ზრდადობის მიხედვით.

40    50    60    80  
30    70    90



12. თეონამ ქუჩაში ჩაუარა სახლებს, რომელთა ნომრები იყო: 40, 42, 44. რა ნომრები იქნება შემდეგი ექვსი სახლი?



1. დათვალე თითოეული შესაკრები და ჯამი ჩანერე ციფრებით.



2. ჩანერე შეკრების სახით.




3. გადაინერე და გამოთვალე.

- |          |          |
|----------|----------|
| $40 + 2$ | $44 + 2$ |
| $43 + 4$ | $50 + 1$ |
| $40 + 1$ | $42 + 3$ |
| $41 + 2$ | $51 + 1$ |

4. დანერე ციფრებით:

- ა. ორმოცდაშვიდის და ორის ჯამი;
- ბ. ორმოცდათორმეტის და შვიდის ჯამი;
- გ. ორმოცდაათის და რვის ჯამი.

5. რამდენი ლარია?



6.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27	28	29	30
31	32	33	34	35	36	37	38	39	40
41	42	43	44	45	46	47	48	49	50
51	52	53	54	55	56	57	58	59	60

ამოინერე რიცხვები ყვითლად გაფერადებული უჯრებიდან და თითოეულს დაუმატე 1.

7. გადაიხაზე და შეავსე ცხრილი.


+	43	50	55	40	49	51	58	42
1								
2								

8. მალაზიაში შესვლისას დედას ჰქონდა 45 ლარი, ხოლო შვილს – 2 ლარი. რამდენი ლარი ჰქონია ორივეს ერთად?


9. ამოინერე ამ რიცხვებიდან კენტი რიცხვები და დაალაგე ზრდადობით.

- (45) (51) (54) (48) (56) (49) (57)


# ერთნიშნა რიცხვების გამოკლება




$$48 - 3 = 45$$



1. ჩანერე გამოკლების სახით.



2. ჩანერე გამოკლების სახით.



3. გამოთვალე.

- |          |          |
|----------|----------|
| $43 - 1$ | $49 - 3$ |
| $44 - 1$ | $58 - 2$ |
| $52 - 1$ | $55 - 1$ |
| $47 - 2$ | $59 - 1$ |

4. გადაინერე და გააგრძელე მიმდევრობა 40-მდე.  
60, 58, 56, ...

5. ჩანერე ციფრებით:

- ა. ორმოცდარვის და ორის სხვაობა;
- ბ. ორმოცდაცხრამეტის და სამის სხვაობა.

6. რომელია მეტი?

- $40 + 2$  თუ  $45 - 2$   
 $55 + 3$  თუ  $55 - 1$


7. გადაიხაზე და შეავსე ცხრილი.

საკლები	45	54	43	59	49	57
მაკლები	3	2	1	5	6	2
სხვაობა						

8. რამდენი თეთრია?



9. რვეულში გადაიხაზე ისეთი ცხრილი, როგორც წინა გაკვეთილის მე-6 სავარჯიშოშია და კენტი რიცხვები გააფერადე ყვითლად.




რამდენი უჯრაა ABCD ოთხკუთხედში?

11. რომელია ამ სხვაობებს შორის კენტი რიცხვები?


- $52 - 1$      $58 - 6$      $45 - 3$

12. რომელი ტოლობაა სწორი?


- $46 - 34 = 43$                        $45 + 2 = 48$   
 $55 - 1 = 44$                           $55 + 1 = 56$



$$34 + 20 = 54$$




1. შეკრება ჩანერე ციფრებით.



2.  $23 + 20$                        $33 + 20$   
 $43 + 10$                        $43 + 10$   
 $27 + 20$                        $37 + 20$

3. გამოკლება ჩანერე ციფრებით.



4. ამ თავის მე-2 გაკვეთილის მე-6 სავარჯიშოში მოცემული ცხრილის მიხედვით შეასრულე მოქმედება:

- $13 + 30$                        $27 + 20$   
 $27 - 20$                        $48 + 10$   
 $48 - 40$                        $41 - 40$   
 $36 + 20$                        $35 + 20$

5. რომელია მეტი?

$52 - 10$  თუ  $22 + 20$   
 $59 - 50$  თუ  $47 - 20$

6. დახატე 28 ბურთულა.

მიუხატე იმდენივე. რამდენია გაორმაგებული რაოდენობა?

7. დანერე ციფრების და მოქმედებათა ნიშნების გამოყენებით:

- ა. ოცდათვრამეტის და ოცის ჯამი;
- ბ. 47-ის და 10-ის სხვაობა;
- გ. 46-ის და 10-ის ჯამი;
- დ. ორმოცდათექვსმეტის და ოცის სხვაობა.

8. ანამ ჩაუარა სახლებს, რომელთა ნომრები იყო: 55, 53, 51 და მივიდა სახლთან, რომლის ნომერია 49. რა ნომერი იქნება შემდეგის შემდეგი სახლი? უნდა გადავიდეს თუ არა ქუჩაზე, თუკი ეძებს სახლს, რომლის ნომერია 11?

9. რამდენი ლარი აქვს ორივეს ერთად?







# შეკრება ათეულის წარმოქმნით



+



შეკრებისას ახალი ათეული გაჩნდება.



1. რამდენია პირველი შესაკრები? მეორე შესაკრები? რამდენი უნდა დავუმატოთ პირველ შესაკრებს, რომ გახდეს 40? კიდევ რამდენი დარჩება დასამატებელი მეორე შესაკრებიდან?

2. დანერე ციფრებით:
- ა. ოცდათვრამეტის და ხუთის ჯამი;
  - ბ. ორმოცდაშვიდის და ექვსის ჯამი.

3. გადაიხაზე და შეავსე ცხრილი.


+	32	45	49	36	25	33	43
8							
9							



5. ჯამი ლუნია თუ კენტი?
- |         |         |
|---------|---------|
| 37 + 20 | 18 + 30 |
| 15 + 40 | 43 + 10 |
| 11 + 30 | 44 + 10 |



6. რომელი წინადადებაა სწორი?
- ა. 36-ის და 8-ის ჯამი არის 44;
  - ბ. 47-ის და 4-ის ჯამი არის 43;
  - გ. 49-ის და 2-ის ჯამი არის 51;
  - დ. 45-ის და 5-ის ჯამი არის 40.

7. რამდენი უჯრაა მართკუთხედში?





8. გამოთვალე.
- |        |        |
|--------|--------|
| 29 + 2 | 37 + 4 |
| 28 + 3 | 49 + 2 |
| 27 + 4 | 48 + 3 |
| 39 + 2 | 47 + 4 |

9. შეკრება ჩანერე ციფრებით.






გამოკლებისას ერთ-ერთი ათეულის დაშლა გახდა საჭირო.



რამდენია საკლები? რამდენია მაკლები? ჩანერე გამოკლების სახით.




3. დაწერე ციფრებით:
- ა. ორმოცდაორის და სამის სხვაობა;
  - ბ. ორმოცდაერთის და ოთხის სხვაობა;
  - გ. ორმოცდათერთმეტის და ორის სხვაობა.

4. რომელი სხვაობაა კენტი?

41 - 3
51 - 4
52 - 6  
45 - 6
42 - 5

5. რამდენი ლარია?



6.  $41 - 3$                        $43 - 5$   
 $56 - 8$                          $42 - 5$   
 $45 - 7$                          $51 - 3$   
 $44 - 5$                          $53 - 4$
7. გააგრძელე მიმდევრობა 20-მდე. 60, 56, 52, ...


8. მაკას 52 ლარი ჰქონდა. რამდენი ლარი დარჩება, თუ იყიდის ნამცხვარს, რომელიც 4 ლარი ღირს?

9. გადაიხაზე და შეავსე ცხრილი.


საკლები	45	51	41	52	43	56
მაკლები	7	2	3	4	5	8
სხვაობა						

10. რომელია მეტი?  
 $42 - 4$  თუ  $39 + 2$   
 $53 - 5$  თუ  $48 + 8$

11. გამოკლება ჩანერე ციფრებით.



# რიცხვის დამრგვალება ათეულამდე



10, 20, 30, 40, 50, 60, 70, 80, 90, 100.  
მრგვალი რიცხვებია.


$$53 \approx 50$$

ეს ნიშანი იკითხება ასე:  
დაახლოებით არის

53 რომელთან უფრო ახლოსაა, 50-თან თუ 60-თან?

53 დაახლოებით 50-ის ტოლია. ამას ჰქვია რიცხვის დამრგვალება. 55 თანაბრადაა დამორებული 50-დან და 60-დან. დამრგვალებისას ასეთი რიცხვები მეტობით მრგვალდება. 55 დაახლოებით 60-ია.

1. რომელია ამათგან მრგვალი რიცხვები?



2. 5-დან 55-მდე რამდენი მრგვალი რიცხვია?

3. დაამრგვალე რიცხვები.

**ნიმუში:**  $57 \approx 60$


42, 46, 34, 25.

4. დაახლოებით რამდენი თეთრია? დაამრგვალე რაოდენობები.




5. გააგრძელე მიმდევრობა 60-მდე.  
0, 5, 10, ...  
სულ რამდენი რიცხვია მიმდევრობაში?

6. დაახლოებით რამდენი ლარი აქვს ირაკლის?



7. რამდენი უჯრაა მართკუთხედში? დაამრგვალე ეს რაოდენობა.




8. დაამრგვალე სხვაობები და ჯამები.  
 $31 - 3$     $35 + 4$     $41 + 6$     $51 - 3$


9. დაახლოებით რამდენია? პასუხები დაამრგვალე.



10. გამოთვალე.  
 $53 - 4$     $55 - 6$     $44 - 9$




ეს წრე  
ზუსტად  
შუაზეა  
გაყოფილი.



ეს არ არის  
გაყოფილი  
ზუსტად  
შუაზე.


განახევრება არის ორ თანაბარ ნაწილად გაყოფა. განახევრება ზუსტად შუაზე გაყოფაა.




12 ვაშლი რომ ორ თანაბარ ნაწილად გავყოთ, გამოგვივა ექვს-ექვსი.

1. რომელია გაყოფილი შუაზე?

ა.




ბ.



გ.



დ.



2. დახატე 18 რგოლი. გაყავი შუაზე და თითოეული ნახევარი გააფერადე.

3. რამდენი იქნება 20-ის ნახევარი?

4. რამდენი თეთრია? რამდენი თეთრი იქნება, თუ ფულს შუაზე გავყოფთ?

ა.



ბ.



გ.



5. რამდენია ამ რიცხვების ნახევარი?

ა. 22

ბ. 26

გ. 30

6. რომელია გაყოფილი შუაზე?

ა.



ბ.



7. გამოთვალე.

$53 - 10$

$56 - 40$

$45 - 20$

$38 - 20$

8. დაწერე ციფრებით და გამოთვალე:

ა. ოცდაჩვიდმეტის და ექვსის ჯამი;

ბ. ორმოცდათერთმეტის და ოთხის სხვაობა.

9. რომელი წინადადებაა სწორი?

ა. 40-ის ნახევარი არის 20;

ბ. 27-ის ნახევარი არის 13;

გ. 60-ის ნახევარი არის 30.

10. გადაიხაზე და შეავსე ცხრილი.


+	15	20	42	29	51	48	35
7							
1							
9							



გარდა იმ ფულებისა, რაც უკვე ვისწავლეთ, არსებობს ორმოცდაათთეთრიანი და ორმოცდაათლარიანი.

1. რამდენი ათთეთრიანია 50 თეთრში?

2. სწორია თუ არა?



3. სულ რამდენია?



4. რომელი ფიგურაა გაყოფილი ზუსტად შუაზე?




5. გადაიხაზე რიცხვთა ღერძი.



ა. დაწერე გამოტოვებული რიცხვები.


ბ. მრგვალი რიცხვები შემოხაზე.

6. ჩაწერე ციფრებით.



7. დახაზე ტეხილი, რომელიც შედგება 5 მონაკვეთისგან.

8. რომლის შედეგია კენტი რიცხვები?



9. გააგრძელე მიმდევრობები 60-მდე.

ა. 4, 8, 12, ...

ბ. 6, 12, 18, ...


10. დახატე რიცხვის შესაბამისი რაოდენობის რგოლები და ნახევრები გააფერადე სხვადასხვა ფერით.

ა. 36

ბ. 42

გ. 54

11. სულ რამდენი უჯრაა?



12. რომელია მეტი?

36 + 5    თუ    52 - 9

43 + 1    თუ    53 - 7

13. დაშალე რიცხვები ათეულებად და ერთეულებად.

ა. 29

ბ. 43

გ. 56

დ. 50

14. დაამრგვალე რიცხვები.

ა. 37

ბ. 44

გ. 22

დ. 9

15. რომელი რაოდენობებია გაყოფილი შუაზე?

